

## თავი 13 მართვა და მონიტორინგი





## სარჩევი

13	მართვა და მონიტორინგი .....	13-1
13.1	შესავალი .....	13-1
13.2	სამშენებლო ფაზის ფუნქციები და ვალდებულებები .....	13-2
13.2.1	BP .....	13-2
13.2.2	ძირითადი სამშენებლო კონტრაქტორები .....	13-3
13.2.3	სხვა კონტრაქტორები .....	13-3
13.3	სამშენებლო ფაზის ESMS .....	13-4
13.3.1	შესავალი .....	13-4
13.3.2	ESMS ჩარჩო დოკუმენტი .....	13-4
13.3.3	ESMMP .....	13-6
13.3.4	ტრენინგი .....	13-9
13.3.5	შემოწმება .....	13-10
13.3.6	მოქმედება .....	13-11
13.4	ექსპლუატაციის ფაზის ESMS .....	13-12
13.5	დასახლების განვითარების ინიციატივა (CDI) .....	13-13

### ცხრილები

ცხრილი 13-1:	ESMMP მართვის გეგმები .....	13-7
ცხრილი 13-2:	ISO 14001 EMS ვალდებულებები .....	13-12

### სურათი

სურათი 13-1:	SCPX პროექტის ESMS ელემენტები .....	13-5
--------------	-------------------------------------	------



## 13 მართვა და მონიტორინგი

### 13.1 შესავალი

BP-ს ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვისადმი მიდგომა ეფუძნება ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვის პრინციპს: „დაგეგმვა, შესრულება, შემოწმება, მოქმედება“ ყველა იმ საქმიანობაში, რომელზეც BP პასუხისმგებელია.

ეს პრინციპები მოიცავს:

- დაგეგმვა - ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედების წინასწარი შეფასება
- შესრულება - პროექტის და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიზანია თავიდან აიცილოს, შეამციროს ან მინიმუმამდე შეამციროს პოტენციური ზემოქმედება
- შემოწმება - განხორციელებული შემარბილებელი ღონისძიებების შესრულების და ეფექტურობის მონიტორინგი
- მოქმედება - გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელების აუდიტი და მეთვალყურეობა.

წინამდებარე ESIA-ში აღწერილია თუ როგორ იქნება გამოყენებული ზემოთ აღნიშნული პრინციპები SCPX პროექტის სამშენებლო და ექსპლუატაციის ფაზებზე.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვა ხორციელდება სამშენებლო ფაზის ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის სისტემის (ESMS) დანერგვით, რომელიც მოიცავს ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის და მონიტორინგის გეგმას (ESMMP) (მოცემულია დანართში D) და დამხმარე დოკუმენტაციას. ESMMP მოიცავს თემატური გეგმების ნაკრებს (მაგ. ნარჩენების მართვა, დაბინძურების პრევენცია), რომელიც ეხება ESIA-ში აღნიშნულ ვალდებულებებს. ვალდებულებათა რეესტრი, რომელიც მოცემულია დანართში E, წარმოადგენს ESIA-ში აღნიშნული ყველა ვალდებულების განმსაზღვრელ წყაროს.

ქვეთავი 13.2 აღწერს ვალდებულებათა განაწილებას პროექტს, მილსადენის და ინფრასტრუქტურის მშენებლობის მთავარ კონტრაქტორსა, და სხვადასხვა სპეციალიზირებულ კონტრაქტორ(ებ)ს შორის, რომლებიც მშენებლობის მიმდინარეობისას განახორციელებენ ESIA-ში აღნიშნულ ვალდებულებებს და მოახდენენ ამ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს და შემოწმებას. აქ ასევე განსაზღვრულია ფუნქციების და ვალდებულებების განაწილება ორგანიზაციის შიგნით.

ქვეთავი 13.3 აღწერს ღონისძიებებს, რომელთა მეშვეობითაც პროექტი მშენებლობის ფაზაზე ეცდება განახორციელოს ESMS და, კერძოდ დანართში D წარმოდგენილი ESMMP.

ექსპლუატაციის ფაზაზე პროექტი ინტეგრირებული იქნება საქართველოს საექსპორტო მილსადენების ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის სისტემაში, რომელიც ამჟამად მოიცავს სამივე არსებულ მილსადენს, SCP-ს ჩათვლით. ქვეთავი 13.4 მოკლედ აღწერს ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის ღონისძიებებს ექსპლუატაციის ფაზაზე, პროექტის დასრულების შემდეგ.

SCPX პროექტის სამშენებლო და ექსპლუატაციის ფაზები განხორციელდება BP-ს არსებული პოლიტიკის და BP-ს ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის

კორპორატიული პოლიტიკის შესაბამისად (იხილეთ ქვეთავი 6.5) და BP-ს საოპერაციო მართვის სისტემის (OMS) და ადგილობრივი OMS-ის (LOMS) ფარგლებში.

## 13.2 სამშენებლო ფაზის ფუნქციები და ვალდებულებები

### 13.2.1 BP

BP კომპანია SCP-ს სახელით ვალდებულია განახორციელოს SCPX პროექტის დეტალური საინჟინრო დაპროექტება, მომარაგება, მშენებლობა და ექსპლუატაცია. შესაბამისად, BP ამ თავში მოხსენიებულია პროექტის პასუხისმგებლობების აღწერისას.

BP დაიქირავებს ინჟინერ-კონსტრუქტორს, რომელიც შეიმუშავებს პროექტის დეტალურ საინჟინრო პროექტს წინამდებარე ESIA-სთან შესაბამისობაში. BP სათანადო წესით წარადგენს ტექნიკურ განაცხადს სამშენებლო სამუშაოების სხვადასხვა ელემენტის შემოთავაზებების შესახებ. საჭიროების შემთხვევებში შემოთავაზებების განაცხადს დაერთვება ESMMP-ს ასლი.

BP უზრუნველყოფს პროექტის სამშენებლო ფაზაზე კონტრაქტორთა ტექნიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური სამუშაოების მონიტორინგს და აუდიტს.

BP-ს სამშენებლო ფაზის ESMS მოიცავს:

- BP-ს მიერ შექმნილ ვალდებულებათა რეესტრს, სადაც ჩამოთვლილია ESIA-ში მოცემული ყველა ის ვალდებულება, რომელიც ნაკისრია სამშენებლო ფაზაზე
- იმ კანონმდებლობის ჩამონათვალს, რომელიც ეხება SCPX პროექტს
- დანართში D მოცემულ ESMMP-ს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და განახლდება, რამდენადაც დოკუმენტი განიცდის მუდმივ გაუმჯობესებას
- გარემოსდაცვითი ღონისძიებების მონიტორინგის, შემოწმების და აუდიტის განრიგს, რომელიც მოიცავს კონტრაქტორების შემოწმებას, რათა ისინი აკმაყოფილებდნენ ESMMP-ში აღნიშნულ მოლოდინებს
- საქმიანობაზე სამეთვალყურეო სისტემის დანერგვას, რათა მოხდეს შემოწმების და აუდიტის შედეგად მიღებული იმ დასკვნების მონიტორინგი, რომელთა მიხედვითაც ESMMP მოთხოვნები არაა დაკმაყოფილებული; და შესაბამისი გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელებას.

BP-ს ორგანიზაციულ სტრუქტურაში არსებობს შემდეგი ძირითადი თანამდებობები, რომლებსაც აქვთ ძირითადი ვალდებულებები სამშენებლო ფაზის ESMS-ში:

- **პროექტის მენეჯერი:** მთლიანად პასუხისმგებელია განახორციელოს ESIA-ს ვალდებულებები და შეამოწმოს, რომ პერსონალი ინფორმირებულია საკუთარი პასუხისმგებლობის შესახებ
- **ტექნიკური მენეჯერი:** პასუხისმგებელია პროექტის საინჟინრო პროექტის ტექნიკურ შესრულებაზე იმგვარად, რომ შესრულებული იყოს ESIA-ს ვალდებულებები
- **მშენებლობის მენეჯერი:** პასუხისმგებელია ESIA-ს ვალდებულებების ადგილზე განხორციელებაზე
- **მომარაგების მენეჯერი:** პასუხისმგებელია ლოგისტიკური გეგმის შედგენაზე, რომელიც შეესაბამება ESMMP-ს
- **გარემოსდაცვითი და სოციალური ჯგუფი**
  - **გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯერი:** პასუხისმგებელია ეფექტურად განახორციელოს გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებები და დაადასტუროს, რომ პერსონალი სამშენებლო უბანზე ინფორმირებულია მათი გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესახებ

- **მრჩეველი(მრჩეველები) გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში:** პასუხისმგებელია განახორციელოს გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესაბამისობის მონიტორინგი, სამუშაოების ESIA-ში მოცემულ გარემოსდაცვით და სოციალურ ვალდებულებებთან შესაბამისობის შემოწმება; საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს გამოსასწორებელი ღონისძიებების ინიცირება და მეთვალყურეობა; საჭიროების შემთხვევაში შეადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია; და ასევე სამშენებლო პერსონალს მისცეს რჩევები და გაუწიოს დახმარება ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე
- **საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერ(ებ)ი:** პასუხისმგებელია დაადასტუროს, რომ კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები ასრულებენ ESIA-ში მოცემულ სოციალურ ვალდებულებებს; იშუამდგომლოს პროექტსა და საზოგადოებას შორის (პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების (PACs) ჩათვლით); საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს გამოსასწორებელი ღონისძიებების ინიცირება და მეთვალყურეობა; საჭიროების შემთხვევაში შეადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია; და სამშენებლო პერსონალს მისცეს რჩევები და გაუწიოს დახმარება სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით
- **კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელი ოფიცერ(ებ)ი:** პასუხისმგებელია განახორციელოს მშენებლობის მონიტორინგი ადგილზე და დაადასტუროს, რომ კონტრაქტორები და ქვეკონტრაქტორები ასრულებენ ESIA-ში მოცემულ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს; საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს გამოსასწორებელი ღონისძიებების ინიცირება და მეთვალყურეობა; საჭიროების შემთხვევაში შეადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია; და სამშენებლო პერსონალს მისცეს რჩევები და გაუწიოს დახმარება კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე

### 13.2.2 ძირითადი სამშენებლო კონტრაქტორები

ძირითადი სამშენებლო კონტრაქტორები (მილსადენის კონტრაქტორი და ინფრასტრუქტურის კონტრაქტორი) სრულად უნდა შეესაბამებოდნენ BP-ს სამშენებლო ფაზის ESMS-ის იმ ასპექტებს, რომლებზეც ისინი აგებენ პასუხს (იხ. ). კონტრაქტი მილსადენის და ინფრასტრუქტურის მშენებლობის ძირითად კონტრაქტორებს მოსთხოვს პროექტისთვის საკუთარი ESMS-ის შემუშავებას, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს BP-ს პროექტის ESMS-სთან. კონტრაქტორების ESMS უნდა მოიცავდეს განხორციელების გეგმების ნაკრებს, რომელიც შესაბამისობაში იქნება BP-ს ESMMP-ს მართვის გეგმებთან. განხორციელების გეგმებში აღწერილი უნდა იყოს როგორ შეასრულებენ კონტრაქტორები ESMMP-ში მოცემულ გარემოსდაცვით და სოციალურ ვალდებულებებს, რომლებიც მოცემულია ESIA-ს ვალდებულებების რეესტრში.

მთავარი კონტრაქტორები ვალდებული იქნებიან სრული განაკვეთით დაიქირაონ შესაბამისად კვალიფიციური მენეჯერები გარემოს დაცვის და სოციალურ სფეროში, რომლებიც უხელმძღვანელებენ გარემოსდაცვით და სოციალურ ჯგუფს, რომელიც მოახდენს ESIA-ში მოცემული გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების განხორციელებას და მონიტორინგს. ESMMP-ს შესაბამისად ჯგუფი უნდა შედგებოდეს სულ მცირე მრჩეველებისგან გარემოს დაცვის და სოციალურ სფეროში, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერებისგან და მრჩეველებისგან ნარჩენების მართვის საკითხებში.

### 13.2.3 სხვა კონტრაქტორები

სადაც ეს განსაზღვრულია ESMMP-ს მიერ (იხ. ცხრილი 13-1), სხვა კონტრაქტორები შეიმუშავებენ ბუნებრივი/სოციალური გარემოს მართვის გეგმებს და პროცედურებს, რომლებიც დაკავშირებული იქნება მათი სამუშაოს სფეროსთან. იმის დასამტკიცებლად,

რომ ESMMMP-ს ვალდებულებები შესრულდება, კონტრაქტორებმა უნდა მოახდინონ პროექტის შესაბამისი პერსონალით უზრუნველყოფა (მაგ. საველე ეკოლოგები, არქეოლოგები).

### 13.3 სამშენებლო ფაზის ESMS

#### 13.3.1 შესავალი

BP-ს და სამშენებლო კონტრაქტორების მიერ შემუშავებული პროექტის ESMS-ები გამოყენებული იქნება წინამდებარე ESIA-ს ვალდებულებათა რეესტრში (დანართი E) მითითებული გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესასრულებლად და სამშენებლო ფაზაზე პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შესრულების კოორდინირებისა და გადასინჯვისთვის. ESIA-ს ვალდებულებათა განხორციელება განხილულია ESMMMP-ს მართვის გეგმებში (იხ. დანართი D). ქვემოთ შეჯამებულია ESMMMP-ს მართვის გეგმებში განხილული საკითხები (იხ. ცხრილი 13-1).

BP-ს ESMS ჩამოაყალიბებს მშენებლობის დროს სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების მართვის ჩარჩოს და ასევე ჩამოაყალიბებს LOMS-ის ნაწილს. სამშენებლო კონტრაქტორთა ESMS წარმოადგენს მათი ვალდებულებების შესრულების დეტალურ აღწერას. სამშენებლო ESMS-ები თავსებადი უნდა იყოს ISO 14001 სტანდარტებთან, თუმცა ISO 14001 სერტიფიკატი სავალდებულო არ არის.

ESMS-ები ფოკუსირებული იქნება იმ მთავარ მექანიზმებზე, რომლითაც მოხდება ვალდებულებების შესრულება, განსაკუთრებულად მხედველობაში მიღებული იქნება შემდეგი საკითხები:

- პერსონალის ტრეინინგი და ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ პერსონალის ცნობიერების ამაღლება
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული საკითხების ზედამხედველობა და მონიტორინგი ველზე
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება პროექტის განხორციელების პერიოდში.

BP-ს ESMS და სამშენებლო კონტრაქტორთა ESMS უნდა იყოს პროექტის მასშტაბის თანაზომიერი და ფოკუსირება მოახდინოს იმ საკითხებზე, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან საქმიანობის უზრუნველსაყოფად, რათა არ მოხდეს პროექტის გადატვირთვა ზედმეტად დეტალიზებული სისტემებით.

#### 13.3.2 ESMS ჩარჩო დოკუმენტი

ყოველ ESMS-ს ერთვის ზოგადი დოკუმენტი, მაგ., ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სისტემის უმთავრეს ელემენტებს.

ქვემოთ წარმოდგენილია პროექტის ESMS-ის „დაგეგმვა-შესრულება-შემოწმება-მოქმედება“ ციკლის ძირითადი ელემენტების მიმოხილვა (იხ. სურათი 13-1). ამ დოკუმენტით ძირითად პერსონალს შორის დამყარდება ურთიერთგაგება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.





**სურათი 13-1: SCPX პროექტის ESMS ელემენტები**

**დაგეგმვა**

მოცემული ციკლის „დაგეგმვის“ სტადიაზე ხდება პროექტის საფრთხეების და რისკების იდენტიფიცირება, მაგ., ESIA-ს პროცესში, რაც შემდეგ აისახება პროექტის ვალდებულებების რეესტრში. დაგეგმვა ასევე მოიცავს საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნათა იდენტიფიცირებას (მაგ. საკანონმდებლო და სანებართვო რეესტრის შემუშავება და მიზნების დასახვა, როგორცაა ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები (KPI)).

პროექტის ვალდებულებათა რეესტრი (იხ. დანართი E) აღწერს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშვა პროექტის ESIA-ს მრავალმხრივ პროცესში. რეესტრი აღრიცხავს ყოველ ვალდებულებას, რომელიც განხორციელდება მართვის ციკლის „შესრულების“ სტადიაზე, ESMMMP-ს შესაბამისი გეგმისთვის და განმარტავს განხორციელების გეგმის შექმნა BP-ს ვალდებულებათა თუ კონტრაქტორის. ექსპლუატაციის ფაზის ვალდებულებები განსაზღვრულია ექსპლუატაციის მართვის სისტემით. ვალდებულებათა რეესტრი დოკუმენტია, რომელსაც BP მუდმივად განახლებს პროექტის განხორციელების პროცესში.

**შესრულება**

BP ისარგებლებს ცვლილებების მართვის პროცედურით, რათა უზრუნველყოს, საბოლოო პროექტირების და სამშენებლო ფაზის დროს განხორციელებული ყველა ცვლილების დეტალურად შეწავლა და ბუნებრივი გარემოს, სოციალური გარემოს და კულტურული

მემკვიდრეობის საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი შედეგის იდენტიფიცირება, მიღება და გათვალისწინება.

### 13.3.3 ESMMP

სამშენებლო ფაზის ESMS-ები მოიცავს ESMMP-ს (იხ. დანართი D), რომელიც აღწერს:

- პროექტის საკანონმდებლო ჩარჩოს
- საერთაშორისო ინდუსტრიის მოწინავე პრაქტიკის სახელმძღვანელოს
- BP-ს და კონტრაქტორის ფუნქციებს და პასუხისმგებლობას
- ქმედებებს, რომლებიც საჭიროა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად ან შესარბილებლად და ESIA-ში მოცემული ვალდებულებების განსახორციელებლად
- ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული საქმიანობის მოთხოვნების მონიტორინგს და ანგარიშის წარდგენას
- შემოწმების და აუდიტის ჩატარების მოთხოვნებს და გამოსასწორებელი ღონისძიებების ჩატარებას ქმედებების სამეთვალყურეო სისტემის გამოყენებით.

ESMMP მოიცავს მართვის გეგმებს, რომლებიც მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 13-1). ცხრილში ასევე მოცემულია ძირითადი პასუხისმგებლობები, რომლებიც ეხება განხორციელების გეგმის შემუშავებას მართვის ყოველი გეგმისთვის. სამშენებლო კონტრაქტორებს მოეთხოვებათ შეიმუშავონ ESMS, განხორციელების გეგმების ჩათვლით, რომლებიც ESMMP-ს მართვის გეგმებთან შესაბამისობაშია და წარმოადგინონ ვალდებულებების შესრულების და მონიტორინგის დეტალური აღწერა. სამშენებლო კონტრაქტორები განხორციელების გეგმებს მშენებლობის დაწყებამდე დასამტკიცებლად წარუდგენენ BP-ს. BP უზრუნველყოფს, რომ კონტრაქტორების მიერ წარმოდგენილი განხორციელების გეგმები, მათთან დაკავშირებული პროცედურები და გამოყენებული მეთოდები აკმაყოფილებდეს BP-ს ESMMP-ში აღნიშნულ ბუნებრივ და, სოციალურ გარემოსთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ შესაბამის მოთხოვნებს.

BP ასევე შეიმუშავებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას, ხოლო კონტრაქტორ(ებ)ი შექმნის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ავტონომიურ გეგმას, რომელიც დაკავშირებული იქნება BP-ს მიერ შემუშავებულ დოკუმენტებთან.

ESMMP არ არის კანონით სავალდებულო დოკუმენტი. რამდენადაც ეს დოკუმენტი ეყრდნობა და იმეორებს ESIA-ს ძირითად ნაწილს, ის არ ქმნის (და არ უნდა განიხილებოდეს რომ ქმნის) პროექტის ახალ, შეცვლილ ან დამატებით ვალდებულებას. ESIA-ით განსაზღვრული ყველა ვალდებულების განმსაზღვრელ წყაროს წარმოადგენს დანართი E - ვალდებულებების რეესტრი. ESMMP წარმოადგენს ამ ვალდებულებების განხორციელების ინსტრუმენტს და განიხილება როგორც „ცოცხალი“ დოკუმენტი, რომელიც SCPX პროექტის მიმდინარეობისას სავარაუდოდ გაუმჯობესდება და მოიცავს მშენებლობისა და ექსპლუატაციაში შეყვანის ფაზებს. გეგმები განახლდება, რათა გათვალისწინებული იქნას მარეგულირებლის და დაინტერესებული მხარეებისგან ESIA-ს პროექტის საჯარო განხილვების დროს მიღებული ინფორმაცია. გეგმები ასევე განახლდება პროექტის მიმდინარეობის პროცესში საჭიროებისამებრ. ESMMP ასევე დეტალურად აღწერს თუ როგორ მოხდება ESIA-ში მოცემული ვალდებულებების განხორციელება და მონიტორინგი.

BP-მ პროექტის ფარგლებში შეიმუშავა საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა (PCDP) პროექტის შემუშავების და მშენებლობის ფაზებზე მესამე მხარეებთან კონსულტაციების ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად (იხ. დანართი C1). პროექტის მიმდინარეობისას BP საჭიროებისამებრ განახლებს PCDP-ს დაგეგმილი ქმედებების სტატუსის ასახვის მიზნით.

**ცხრილი 13-1: ESMMP მართვის გეგმები**

ESMMP თავი	გეგმა	გეგმით შეტანილი საკითხები
7	აღდგენის გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნიადაგისა ზედა და ქვედა ფენის მართვა</li> <li>• ეროზიის კონტროლი მშენებლობის განმავლობაში (მაგ. გადაკვეთები, ციცაბო ფერდობები, თხრილების შემაკავებლები) და მშენებლობის დასრულების შემდეგ</li> <li>• სამშენებლო დერეფნის და მდინარის გადაკვეთების აღდგენა წინასწარ შემუშავებული წესით</li> <li>• შეთესვა და ეროზიის საწინააღმდეგო ჯვალის გადაფარვა</li> </ul>
8	ლანდშაფტის მართვის გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ლანდშაფტის გეგმები</li> <li>• ლანდშაფტის დაცვა მშენებლობამდე და მის შემდგომ</li> <li>• შეთესვისა და მცენარეული საფარის აღდგენის მიზნები</li> <li>• არსებული და ახალი მცენარეულობის შენარჩუნების სამუშაოები</li> <li>• მონიტორინგი და ანგარიშის წარდგენა</li> </ul>
9	ეკოლოგიური მართვის გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეკოლოგიური ტრეინინგი</li> <li>• დაცულ სახეობათა მდებარეობა და სენსიტიური ადგილები</li> <li>• წინასამშენებლო ეკოლოგიური კვლევები</li> <li>• ჰაბიტატების და სახეობების დაცვა მშენებლობამდე და მშენებლობის დროს (მაგ. სამუშაოს ფართობის სიგანის შეზღუდვა, გადარგვა, სეზონური სენსიტიურობის თავიდან აცილება, ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა, ქვევის კოდექსი, წყლის გარემოს დაცვა)</li> <li>• ბიოდგენა (მაგ. მცენარეული საფარის აღდგენა, თესლის სელექცია და შექმნა, თესვის მეთოდები, თესლის შეგროვება, გადარგვა)</li> <li>• მონიტორინგი და ანგარიშის წარდგენა</li> </ul>
10	ნარჩენების მართვის გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნარჩენების მართვის ტრეინინგი ნარჩენების იდენტიფიკაცია და კლასიფიკაცია</li> <li>• ნარჩენთა იერარქია და მათი მინიმუმაციის სტრატეგია (მაგ. წყაროების შემცირება, ხელახალი გამოყენება, გადამუშავება, ენერჯის რეგენერაცია, ნარჩენების პასუხისმგებლობით განთავსება)</li> <li>• ნარჩენების დამუშავება (მაგ. შეგროვება, სეგრეგაცია და კონტეინერები, შენახვა და დამუშავება, ტრანსპორტირება და დოკუმენტირება, განთავსება)</li> <li>• მონიტორინგი და ანგარიშის წარდგენა</li> </ul>
11	დაბინძურების პრევენციის გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაბინძურების პრევენციის ტრეინინგი</li> <li>• ენერგოეფექტურობა (სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის შერჩევა და შენარჩუნება)</li> <li>• გამონაბოლქვის და მტვრის მართვა (მაგ. სატრანსპორტო საშუალებების, აღჭურვილობის და გენერატორების გამონაბოლქვი, მტვრის მართვა)</li> <li>• ჩამდინარე წყლების მართვა (მაგ. წყლის ჩადინება, თხრილის ამოშრობა, ჰიდროტესტის წყლის განთავსება და ჰიდროტესტის წყალში ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენება, სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის გარეცხვა)</li> <li>• ჩამდინარე წყლის დამუშავება და განთავსება</li> </ul>

ESMMP თავი	გეგმა	გეგმით შეტანილი საკითხები
		<ul style="list-style-type: none"> <li>• ხმაურისა და ვიბრაციის მართვა</li> <li>• ნავთობისა და ქიმიური ნივთიერებების მართვა (მაგ. შენახვა, მოპყრობა და ავარიული დაღვრის თავიდან აცილება)</li> <li>• დაბინძურებული ნიადაგის დამუშავება</li> <li>• საშიში თხევადი ნარჩენების მართვა</li> <li>• მონიტორინგი და ანგარიშის წარდგენა</li> </ul>
12	რესურსების მართვის გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტრენინგი (ენერგოეფექტურობისა და წყლის გამოყენების მინიმუმაციის ჩათვლით)</li> <li>• ინერტული მასალების მართვა (მოთხოვნათა შეფასება, კარიერების და ღია კარიერების იდენტიფიკაცია, ტრანსპორტირება, მესამე მხარეთა კონტროლი)</li> <li>• წყლის მართვა (წყლის მიწოდება, ჰიდროტექსტივის წყალაღება)</li> </ul>
13	სამშენებლო ბანაკის მართვის გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონსულტაცია სამშენებლო ბანაკის მოწყობამდე ადგილობრივ მოსახლეობასთან</li> <li>• ბანაკის და მისი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა</li> <li>• ტრენინგი (მათ შორის ბანაკის წესების შესახებ შესავალი ინსტრუქტაჟი და ადგილობრივი პრობლემების და სენსიტიურობის შესახებ ცნობიერების ამაღლება)</li> <li>• ბანაკის წესები (მაგ. დისციპლინა და აკრძალვები ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე, ხმაურიანი და დანაშაულებრივი ქმედებები, დასახლებებთან კონტაქტი, ეთნიკური ხასიათის დამაბულობა, ზაზრის წონასწორობის დარღვევა და გადამდები დაავადებები)</li> </ul>
14	ინფრასტრუქტურისა და მომსახურებების მართვის გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინფრასტრუქტურის დაზიანება (ტრანსპორტი, ელექტროგაყვანილობა; სარწყავი არხები)</li> <li>• პროექტის განხორციელებისას დასახლებების ინფრასტრუქტურის დაზიანებისგან დაცვა და შეკეთება</li> <li>• საზოგადოებისა და ინდივიდებისთვის მიყენებული ზიანის მართვა</li> </ul>
15	დასახლებების ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუშებისა და დასახლებების მოსახლეობის ურთიერთობა (მაგ. გადამდებ დაავადებათა გავრცელება)</li> <li>• სამშენებლო უბნების მართვა (მაგ. სამშენებლო დერეფანთან მისასვლელი, ღია თხრილის პრინციპი)</li> <li>• სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოება (მაგ. ტრანსპორტის ნაკადის კონტროლი სოფლებში)</li> </ul>
16	საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>• საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერის (CLO) მოთხოვნები</li> <li>• ადგილობრივ მოსახლეობასთან, მიწის მესაკუთრებთან და მიწათმოსარგებლებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება (მაგ. შეხვედრები, საჩივრების მართვის პროცედურები)</li> <li>• დასახლების ხელმისაწვდომობა</li> </ul>
17	ადგილობრივი დასაქმების და ტრენინგის გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>• მშენებლობის ფაზისთვის ადგილობრივი კადრების შერჩევა</li> <li>• უნარები და HSE ტრენინგი (მთელი პერსონალისათვის)</li> </ul>

ESMMP თავი	გეგმა	გეგმით შეტანილი საკითხები
18	შესყიდვების და მიწოდების გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>ადგილობრივი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მაქსიმიზება</li> <li>შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობა</li> </ul>
19	კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ზემოქმედების თავიდან აცილების უზრუნველყოფა</li> <li>შემარბილებელი ღონისძიებების ჩატარება იქ, სადაც კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია</li> <li>კულტურული მემკვიდრეობის ადგილების დაცვა მშენებლობის დროს</li> <li>მონიტორინგი და შედეგის შესახებ ანგარიშის წარდგენა</li> </ul>
20	მიწის მართვის გეგმა	<ul style="list-style-type: none"> <li>დამატებითი მიწის შეფასება</li> <li>ნარჩენების ლიკვიდაციის ადგილები და კარიერები</li> <li>მიწის შეძენის და კომპენსაციის გადახდის მოთხოვნები</li> <li>მონიტორინგი და ანგარიშის წარდგენა</li> </ul>

### 13.3.4 ტრეინინგი

ESMS ციკლის „შესრულების“ სტადიაზე ESIA-ს ვალდებულებების მისაწოდებლად ტარდება ფუნდამენტური ტრეინინგი.

SPCX პროექტის სამშენებლო საქმიანობა შედარებით ხანმოკლე იქნება, ამიტომ ეფექტური ტრეინინგისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების დასაწყისშივე დამკვიდრება. ტრეინინგის ძირითადი აუცილებელი ელემენტებია:

- ბრიფინგები პროექტის მენეჯმენტისთვის
- შესავალი ტრეინინგი BP-ს, კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორის პერსონალისათვის
- ინსტრუქტაჟი.

### მენეჯმენტის ბრიფინგები

გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ტრეინინგი BP-ს პროექტის მენეჯმენტს მიაწვდის ESMMP-ს ზოგად მიმოხილვას და ინფორმაციას ფუნქციების, პასუხისმგებლობების და სტანდარტების შესახებ.

კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ჩატარებული მეორე ტრეინინგი უზრუნველყოფს იმას, რომ BP-ს პროექტის მენეჯმენტი და სამშენებლო კონტრაქტორის ხელმძღვანელობა ESMMP მოთხოვნების განხორციელებისას იხელმძღვანელებს კოორდინირებული მიდგომით და ხელს შეუწყობს BP-ს განზრახვას კარგად განახორციელოს გარემოსდაცვითი საქმიანობა და დაამყაროს კარგი ურთიერთობა დასახლებების მოსახლეობასთან.

### შესავალი ტრეინინგი

ESMMP-ში:

- ადგილობრივი დასაქმების და ტრეინინგის გეგმა გულისხმობს სამშენებლო მუშახელისთვის შესავალი ტრეინინგის ჩატარებას (ქართულად ან ინგლისურად,

საჭიროების მიხედვით). სამშენებლო მუშახელს ასევე ჩაუტარდება ES ტრეინინგი და უნარ-ჩვევების გამომუშავების ტრეინინგი (ინსტრუქტაჟის ჩათვლით)

- სამშენებლო ბანაკის მართვის გეგმა მოითხოვს ბანაკის შესახებ შესავალ კურსს, რომელიც ეხება ბანაკის უსაფრთხოებას, ჯანმრთელობის დაცვას და დაცულობას, ქვევის წესებს, ადგილობრივ კულტურულ სენსიტიურობას და ბანაკის ავარიულ ევაკუაციას.

მთელ სამშენებლო პერსონალს ჩაუტარდება შესავალი კურსი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შესახებ, რითიც ყველასთვის განმარტებული იქნება ძირითადი მოთხოვნები სამშენებლო უბანზე. შესავალი კურსი ფოკუსირდება ვიზუალურ პრეზენტაციაზე (გრაფიკები, ილუსტრაციები, დიაგრამები, ფოტოსურათები და ა.შ.) და მოიცავს მარტივ, გასაგებ გზავნილებს.

### ინსტრუქტაჟი

სამშენებლო კონტრაქტორის მიერ ჩატარებული ინსტრუქტაჟის გარდა, რომელიც წარმოადგენს უნარ-ჩვევების გამომუშავების ტრეინინგის შემადგენელ ნაწილს, BP-ს მრჩეველები გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებში, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერები (CLO) და კულტურულ მემკვიდრეობაზე პასუხისმგებელი ოფიცერები ჩაატარებენ გასაუბრებას კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორის პერსონალთან, რათა გააცნონ მათ BP-ს ვალდებულებები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მათი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედების თავიდან აცილება და/ან შერბილება, კერძოდ მაშინ როცა ზემოქმედება მნიშვნელოვანია ან როცა მოთხოვნები არ არის გათვალისწინებული შესავალ კურსში. ეს გასაუბრებები შეიძლება ჩატარდეს პერსონალთან, რომელსაც ეხება შემდეგ საკითხები:

- მშენებლობის დაწყებამდე ხდება უკანონოდ დაყრილი ნარჩენების მოცილება და დაბინძურებული ნიადაგის გაწმენდა
- სამშენებლო დერეფნის და მისი ინფრასტრუქტურის ადგილმდებარეობის მომზადება (არქეოლოგიური დაკვირვება; შემოღობვა საზოგადოების დაცვის მიზნით; სამშენებლო დერეფნის და სამშენებლო ტერიტორიაზე შეღწევის და სენსიტიურ რეცეპტორთა შემთხვევითი დაზიანების თავიდან აცილება, ნიადაგის ზედა ფენის სწორი შენახვა და სენსიტიური ფაუნის გადაადგილება)
- მილსადენის თხრილში ჩადება და გაყვანა (მოიცავს ისეთ საკითხებს, რომლებიც ეხება დატკეპნის, ზედაპირის მოსწორების და ნიადაგის ზედა ფენის უკან დაბრუნების პროცედურებს)
- რკინიგზის, გზის და მდინარის გადაკვეთების მშენებლობა (მოიცავს ისეთ საკითხებსაც, როგორცაა ამ ტერიტორიაზე მშენებლობის და აღდგენისთვის დაბინძურების გაფართოებული და გაძლიერებული კონტროლის აუცილებლობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელ ტრეინინგებს, განსაკუთრებით მდინარის გადაკვეთის ადგილებზე)
- ჰიდროსტატიკური ტესტი (მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა დაბინძურების პრევენცია და ეროზიის კონტროლი)
- სატრანსპორტო საშუალებების მართვა (მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა სამანქანო გზები, სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო მართვა და მისი ტექნიკური მომსახურება).

### 13.3.5 შემოწმება

*მონიტორინგი, შემოწმება, ანგარიშის წარდგენა და აუდიტი*

გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობისთვის ESMMP ადგენს ძირითად ინდიკატორებს. კონტრაქტორების განხორციელების გეგმები უზრუნველყოფს იმას, რომ



ამ ინდიკატორების შესახებ მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები იყოს შეკრებილი და წარდგენილი BP-თვის.

ESMMP მართვის ზოგიერთი გეგმა მოითხოვს კონტრაქტორებისგან რეგულარულ (მაგ. ყოველკვირეული) დოკუმენტირებულ შემოწმებას; მაგალითად საჭირო იქნება ისეთი ყოველდღიური მოვლენების შემოწმება, როგორცაა ჰაერის დაბინძურება, ნარჩენების შენახვა და ტრანსპორტის მოძრაობა. კონტრაქტორების განხორციელების გეგმებით შემუშავებული იქნება სანიმუშო ფორმები, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შემოწმების დასკვნების ანგარიშის სახით წარედგინება BP-ს. გარდა ამისა, ზოგიერთი მოთხოვნა (მაგ. სამშენებლო დერეფნის სიჩქარის შეზღუდვების მკაცრი დაცვა) საუკეთესოდ მოწმდება არაფორმალური ყოველდღიური დაკვირვებით, რომელიც ხორციელდება პერსონალის სამუშაოზე გასვლისას.

ESMS მიერ მოთხოვნილი ანგარიშგების მოცულობა პროექტის მასშტაბისა და ხანგრძლივობის თანაზომიერი იქნება. სამშენებლო კონტრაქტორი შეადგენს კომბინირებულ გარემოსდაცვით და სოციალურ ანგარიშს ყოველთვიურად და გადასცემს მას BP-ს განსახილველად. მოხსენება შეიცავს:

- KPI მონაცემებს (მაგ. ნარჩენების მოცულობა, ტიპები და განთავსება; მიღებული და გადაწყვეტილი საჩივრები)
- ჩატარებულ სამუშაოებს (მაგ. კვლევები, გადაადგილება, შეხვედრები მოსახლეობასთან, სამშენებლო უბნის შემოწმება და დასკვნები)
- შემოწმების დროს აღმოჩენილ შეუსაბამოებებს
- სამუშაოების დროს წამოჭრილ ბუნებრივ და სოციალურ გარემოსთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებს (მაგ. დაბინძურებული მიწის აღმოჩენა, არქეოლოგიური აღმოჩენები, ეკოლოგიური პრობლემები).

სამშენებლო კონტრაქტორები მოამზადებენ და BP-ს წარუდგენენ ინდივიდუალურ ანგარიშებს გარემოსდაცვითი ან სოციალური ყოველი „ინციდენტის“ და „პოტენციური ინციდენტის“ შემდეგ (მაგ. დაღვრა, დაბინძურების ინციდენტები, ბუნებრივი გარემოს დაზიანება, ავარიები, საჩივრები დასახლებებიდან ან მეზობლებისგან).

BP და სამშენებლო კონტრაქტორი ჩაატარებენ აუდიტს, რათა დააკვირდნენ ESMMP მიხედვით ნაკისრ ვალდებულებათა მიმდინარეობას და განხორციელებას და ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობას, რომლებიც ხორციელდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად. ამ აუდიტის განრიგი განისაზღვრება კონტრაქტის დადების შემდგომ, მაგრამ მისი მიზანი იქნება კონტრაქტორის ESMMP-ს ყველა ელემენტის შემოწმება სამშენებლო ფაზის განმავლობაში. ცალკეული ვალდებულებების აუდიტის სიხშირე რეგულარულად იქნება გადასინჯული და შესწორდება აუდიტის შედეგად გაკეთებული დასკვნების შესაბამისად.

BP ასევე ჩაატარებს იმ საკითხების დაუგეგმავ შემოწმებებს, რომლებიც გაირკვევა, რომ პრობლემატურია.

### 13.3.6 მოქმედება

#### გამოსასწორებელი ღონისძიება

ქვეთავში 13.3.5 აღწერილი შემოწმების და აუდიტის პროცესი დოკუმენტირებული იქნება შეუსაბამობათა შესახებ ანგარიშებში (NCR) და გამოსასწორებელი ღონისძიებების მოთხოვნებში (CAR). BP და კონტრაქტორი ერთად შეიმუშავებენ და შეინარჩუნებენ ღონისძიებების სამეთვალყურეო სისტემას NCR-ების და CAR-ების საპასუხოდ ჩატარებული ქმედებების ეფექტურობის მონიტორინგისთვის.

BP-ს მრჩეველები გარემოსდაცვით საკითხებში, CLO-ები და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მონიტორები მოახდენენ განხორციელებული გამოსასწორებელი ღონისძიებების მონიტორინგს და მიაწვდიან განახლებულ ინფორმაციას მშენებლობის მენეჯერს და გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერს იმ შეუსაბამობების შესახებ, რომლებიც მოითხოვენ შემდგომი ქმედებების ჩატარებას.

### 13.4 ექსპლუატაციის ფაზის ESMS

BP მოახდენს SCPX მილსადენი სისტემის, საკომპრესორო სადგურების, წნევის მარეგულირებელი სადგურების და ჩამკეტი სარქვლის სადგურების ოპერირებას, ISO 14001 სერტიფიცირებული ბუნებრივი და სოციალური გარემოს მართვის სისტემის გამოყენებით და ამიტომ ეფუძნება „დაგეგმვა-შესრულება-შემოწმება-მოქმედება“ ციკლს. ESMS ოპერაციები ჩატარდება SCPX ექსპლუატაციის დაწყებამდე და შემუშავებული იქნება გარდამავალი გეგმა ESMS-ის სამშენებლო ფაზიდან ექსპლუატაციის ფაზაზე გადასვლის ხელშესაწყობად.

ისევე როგორც სამშენებლო მართვის სისტემა, ESMS ოპერაციების მთავარი დანიშნულება იქნება:

- SCPX ექსპლუატაცია საკანონმდებლო და ნორმატიული სტანდარტების და BP-ს პოლიტიკის შესაბამისად
- ESIA-ით ნაკისრი ვალდებულებების ექსპლუატაციის ფაზაზე განხორციელება.

მართვის სისტემის გამოყენებით, რომელიც ასახავს ISO 14001 გარემოს მართვის სისტემას, SCPX რეგულარულად შეაფასებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მისი საქმიანობით გამოწვეულ ზემოქმედებას, შეიმუშავებს ამოცანებს და მიზნებს, რომლებიც შეეხება მნიშვნელოვან ასპექტებს, სათანადოდ შეარჩევს პერსონალს და ჩაუტარებს მათ ტრენინგს და უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ზემოქმედების მიმართ გატარებული ღონისძიებების ეფექტურობის მონიტორინგს და აუდიტს. სისტემა დაინერგება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩატარებული ღონისძიებები მუდმივად გაუმჯობესდეს.

ქვემოთ მოცემულია ESMS ოპერაციების ძირითადი კომპონენტები, რომლებიც ISO 14001 მოთხოვნებთან შესაბამისობაშია (იხ. ცხრილი 13-2).

**ცხრილი 13-2: ISO 14001 EMS ვალდებულებები**

ISO14001 EMS კომპონენტები	
1. EMS ზოგადი მოთხოვნები	10. EMS დოკუმენტაცია
2. გარემოსდაცვითი პოლიტიკა	11. დოკუმენტების კონტროლი
3. გარემოსდაცვითი ასპექტები	12. საოპერაციო კონტროლი
4.საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნები	13. ავარიული მზადყოფნა და რეაგირება
5. ამოცანები და მიზნები	14. მონიტორინგი და ანათვლები
6. გარემოს მართვის პროგრამები	15. შეუსაბამობები და გამოსასწორებელი ღონისძიებები
7. სტრუქტურა და პასუხისმგებლობები	16. აღრიცხვა
8. ტრენინგი და ცნობიერება	17. გარემოსდაცვითი მართვის სისტემის აუდიტი
9. კომუნიკაცია	18. მართვის სისტემის გადასინჯვა

მართვის სისტემა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ინტეგრირებული იქნება საქართველოს არსებულ საექსპორტო მილსადენების ESMS-ში. ESIA-ში ჩართული ექსპლუატაციის ფაზის ვალდებულებები განხორციელდება მართვის სისტემის მეშვეობით.



გაუმჯობესდება შემდეგი არსებული გეგმები მათი SCPX-ში ჩართვის ან ახალი გეგმების შედგენის მიზნით:

- ემისიების მართვა
- დასახლებებთან ურთიერთობა, უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურა და მომსახურება
- დასაქმება და ტრენინგი
- ნარჩენების მართვა
- ბუნებრივი გარემოს მართვა და მონიტორინგი
- კულტურული მემკვიდრეობის მართვა
- ადგილობრივი შესყიდვების და მომარაგების მართვა.

გარდა ამისა, არსებული SCP-ს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა (ERP) გადაიხედება და შესწორდება მილსადენის ახალი სექციის და ასევე ახალ ინფრასტრუქტურათა მდებარეობის გათვალისწინებით.

### 13.5 დასახლების განვითარების ინიციატივა (CDI)

2003 წლიდან BP და მისი პარტნიორები BTC და SCP მილსადენის პროექტებში ნერგავენ დასახლებათა განვითარების ფართო ინიციატივას - CDI (ადრე მას ეწოდებოდა დასახლებათა ინვესტირების პროგრამა - CIP) 77 დასახლებაში BTC და SCP მილსადენების გასწვრივ.

CDI-ს უმთავრესი მიზანია დაამყაროს და შეინარჩუნოს პოზიტიური ურთიერთობა მილსადენის გასწვრივ მდებარე დასახლებებთან მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზით.

BP-ს და მის პარტნიორთა ვალდებულების გათვალისწინებით, მხარი დაუჭირონ დასახლებათა ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, რაც ეფუძნება დაინტერესებული მხარეების განვითარების სტრატეგიას, მიღებული იქნა გადაწყვეტილება BTC და SCP მილსადენთა გასწვრივ მდებარე დასახლებათა განვითარების ინიციატივისათვის მხარდაჭერის გაგრძელების შესახებ, CDI-ს მესამე ფაზის დასრულების შემდგომ (აპრილი 2012).

CDI პროგრამის მეოთხე ფაზა, დაიწყო 2012 წლის მაისში, მხედველობაში იღებს SCPX პროექტის მასშტაბს. ეს გაზრდის იმ დასახლებათა რიცხვს, რომლებიც სარგებლობენ CDI-ით, მას შემდეგ რაც პროგრამა ასევე მოიცავს იმ დასახლებებსაც, რომლებზეც ახალი ზემოქმედება მოახდინა SCPX პროექტმა.

შერჩეული იქნა ორი მთავარი სფერო, სოფლის მეურნეობის და სამოქალაქო საზოგადოების პოტენციალის ზრდა, როგორც ყველაზე კარგი სფეროები შემდგომი ჩარევისთვის, ქვეყნის სპეციფიკის და CDI-ის წინამორბედ ფაზებზე მიღებული შედეგების გათვალისწინებით. საჭიროებათა შეფასება ახლა მიმდინარეობს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ახალ დასახლებებში, სადაც განისაზღვრება პროგრამის მოქმედების ძირითადი არეალი და ასევე მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს დასახლებების განვითარების გაფართოებულ ინიციატივასთან მიდგომის შესაბამისობას.